

ერთროციტების ფუნქციური მახასიათებლების შესწავლა ბიოაქტიური  
ნაერთების ზემოქმედების ფონზე

*მაგისტრანტი ბელა სეფიაშვილი*

*თანაავტორები: ნ. კოტრიკაძე, მ. გორდეზიანი, ლ. რამიშვილი*

E.mail: [bela.sefiashvili@ens.tsu.edu.ge](mailto:bela.sefiashvili@ens.tsu.edu.ge)

უჯრედული და მოლეკულური ბიოლოგიის კათედრა,  
ბიოლოგიის დეპარტამენტი, ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი,  
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
უნივერსიტეტის ქ. 13.

დღესდღეისობით ონკოლოგიაში მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს მცენარეული ექსტრაქტის გამოყენება. რაც გამოწვეულია ერთი მხრივ ორგანიზმზე მცენარეული პრეპარატების კომპლექსური მოქმედების მექანიზმით და მეორეს მხრივ მიღების მარტივი გზითა და დაბალი ფასით. კვლევები მიმდინარეობს რამდენიმე მიმართულებით: ერთის მხრივ ხდება მათი როგორც ანტისიმპტომური მოქმედების მქონე ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების შესწავლა, ხოლო მეორეს მხრივ ხდება მათი, როგორც ქიმიოთერაპიის შედეგად ორგანიზმში განვითარებული უარყოფითი ცვლილებების საწინააღმდეგო მოქმედების შესწავლა.

ნაშრომის მიზანს წარმოადგენდა ციტოტოქსიური ნაერთის ზემოქმედების (ციკლოფოსფანი) შედეგად ორგანიზმში განვითარებული ერთროციტების ფუნქციური მახასიათებლების ცვლილებებზე ბიოაქტიური ნაერთის (კაკლის უღელი - *Juglans regia*) ზემოქმედების შესწავლა. ჩატარებული კვლევების საფუძველზე გამოვლენილ იქნა ერთროციტების სორბციის-უნარიანობის ზრდა, რომლსაც ადგილი აქვს ციკლოფოსფანის და ციკლოფოსფანი + ბერძნული კაკლის ექსტრაქტის შეყვანიდან მხოლოდ მე-8 დღეს; რაც გამოწვეული უნდა იყოს ბერძნული კაკლის ექსტრაქტის მასტიმულირებელი ეფექტით ერთროციტების სორბციისუნარიანობაზე; გამოვლენილ იქნა ერთროციტების მდგრადობაზე ციკლოფოსფანის მოქმედების მაქსიმალური ეფექტი მიღებიდან მეოთხე დღეს და ლიზისის მიმართ ერთროციტების მდგრადობის მგავსი დინამიკა ციკლოფოსფანი+ბერძნული კაკლის ექსტრაქტის მიღებიდან მე-4 და მე-8 დღეს. რაც გამოწვეული უნდა იყოს ბერძნული კაკლის ექსტრაქტის ერთროციტების ლიზისის შემაყოვნებელი ეფექტით.